Project funded by EUROPEAN UNION

Tourism, Heritage and Creativity

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

# Press release

**For immediate release, 23.04.2021**

**TOURISM, HERITAGE AND CREATIVITY**

**ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა**

პროექტის ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა (THC) შესაძლებლობების გაძლიერების კომპონენტის ფარგლებში გაიმართება ტრენინგების ორი რაუნდი, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს: შემოქმედებით ტურიზმი, კულტურულ პროდუქტები ტურიზმისთვის და მეწარმეობა. პირველი რაუნდი ჩატარდება 2021 წლის აპრილ-მაისში, ხოლო მეორე - 2021 წლის ივნის-აგვისტოში. COVID-19-ის პრევენციის ადგილობრივი რეგულაციების გამო, ტრენინგების პირველი რაუნდი ჩატარდება ონლაინ.

ტრენინგები განსაზღვრულია ადგილობრივი შემოქმედებითი ტურიზმის სფეროში ჩართული პირებისთვის / ორგანიზაციებისთვის, ასევე მეწარმეებისა და სტარტაპებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ გამოცდილება ტრადიციული რეწვისა და ვიზუალური ხელოვნების, ტრადიციული გასტრონომიისა და კულინარიული პრაქტიკის, ადგილობრივი პროდუქტების დამზადების ტრადიციების, მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების, რიტუალებისა და სადღესასწაულო ღონისძიებების და ა.შ. ორგანიზებაში და შეუძლიათ ტურიზმის პროდუქტების შექმნა / განხორციელება აღნიშნული და სხვა არამატერიალური კულტურული რესურსების გამოყენებით.

მონაწილეთა შერჩევა მოხდება ღია კონკურსის საშუალებით. უპირატესობა მიენიჭებათ საქართველოს რეგიონების მაცხოვრებლებს და მათ, ვინც სამივე ტრენინგზე სრულად დასწრებას შეძლებს. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები და სასწავლო მასალები. ახლად მიღებული ცოდნა ხელს შეუწყობს მათი წარმატებული იდეების, მომსახურებისა და პროდუქტების განხორციელებას. გარდა ამისა, მათ შეეძლებათ გააახლონ და განათავსონ შესაბამისი ინფორმაცია თავიანთი ბიზნესის შესახებ ტურისტულ ვებ-გვერდებზე; ჩაერთონ ტრანსსასაზღვრო ტურისტულ პროგრამაში; ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტული სააგენტოების ინფო-ტურებში და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა.

"ტურიზმი, მემკვიდრეობა და შემოქმედებითობა" (“Tourism, Heritage and Creativity” (THC)) არის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის (GACC), European Institute for Cultural Tourism EUREKA NPO (კულტურული ტურიზმის ევროპული ინსტიტუტი) და Foundation for the Development of the City of Mykolaiv (FDN) (ქალაქ მიკოლაივის განვითარების ფონდი) ერთობლივი პროექტი. მისი მიზანია ტურიზმის და კულტურული მემკვიდრეობის სექტორების ერთმანეთთან დაკავშირება მათი საერთო განვითარების ხელშეწყობის მიზნით. პროექტის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებები

ემსახურება შემოქმედებითი ტურიზმის შემოთავაზებების და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული კულტურული პროდუქტების დახმარებით ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას. THC დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ხორციელდება შავი ზღვის აუზის ქვეყნების ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მხარდაჭერით. პროექტი მიმდინარეობს სამ ქვეყანაში: ბულგარეთში, უკრაინასა და საქართველოში.

განაცხადის ფორმა და დეტალური ინფორმაცია ტრენინგების შესახებ გამოქვეყნდება ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ვებ და ფეისბუქ გვერდზე და პროექტის ფეისბუქ გვერდზე.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი
www.gaccgeorgia.org
მის: ნიკო ნიკოლაძის ქ. #7, თბილისი- 0108, საქართველო
ტელ: (+995 32) 293 13 35;
მობ.: +995 599 275 075;
ელ. ფოსტა: nana@gaccgeorgia.org